

მარიამ მოსიძე, ნინო ჩიხლაძე

სტუდენტების ცოდნისა და დამოკიდებულებების შეფასება

ორგანოთა ტრანსპლანტაციის მიმართ საქართველოში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

მედიცინის ფაკულტეტი, თბილისი, საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.01.04>

MARIAM MOSIDZE, NINO CHIKHLADZE

ASSESSMENT OF STUDENTS' KNOWLEDGE AND ATTITUDES TOWARDS ORGAN TRANSPLANTATION IN GEORGIA

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Medicine, Tbilisi, Georgia

SUMMARY

Organ transplantation is one of the greatest achievements of modern medicine, which allows patients with serious illnesses to save and prolong their lives. International experience shows that the effectiveness of this process depends significantly not only on the legislative framework, but also on professional training, legal awareness and constant awareness of the population. On November 1, 2023, the Parliament of Georgia adopted a new law, which replaced the “Law of Georgia on Human Organ Transplantation” in force in 2000.

The aim of the study was to assess the knowledge and attitudes of students, as active citizens, towards organ transplantation after the adoption of the new legislation in Georgia. It is noteworthy that no similar study has been conducted specifically in this context. Students' attitudes were assessed using a specially developed anonymous questionnaire.

The results reveal a significant difference between a positive attitude towards organ transplantation (87.7%) and awareness of this issue. Although 80% of respondents correctly defined the concept of donation, 64.6% do not have information about the legal requirements for living donation, and only 26.2% are aware of the fact that organ donation for money is a criminal offense. It is also interesting that only 24.6% of respondents were aware of the current legislation regulating the issue of transplantation. However, 90.8% of participants recognized the importance of state regulation.

The study showed that despite positive attitudes, students' attitudes are based on moral concepts rather than knowledge. The authors recommend coordinated state educational campaigns to establish a culture of donation based on informed and responsible decisions.

Keywords: students' knowledge, attitudes, organ transplantation, Georgia

ორგანოთა ტრანსპლანტაცია თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა, რომელიც სიცოცხლის გადარჩენის და გახანგრძლივების შესაძლებლობას აძლევს მძიმე დაავადებების მქონე პაციენტებს [10]. მაგალითად, გულის ტრანსპლანტაცია მნიშვნელოვნად ახანგრძლივებს სიცოცხლეს და ამასთან ერთად მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს. დადებითი ეფექტი განსაკუთრებით ძლიერად ვლინდება ოჯახისა და სოციალური მხარდაჭერის მქონე პაციენტებში, და კვლევების მიხედვით, სარგებელი 20 წელზე მეტხანს გრძელდება [7]. თირკმლის ტრანსპლანტაცია წარმოადგენს ტერმინალური სტადიის თირკმლის დაავადების ერთადერთ ეფექტიან მკურნალობას, რომელიც დიალიზზე უკეთეს გრძელვადიან შედეგებს იძლევა და პაციენტებს დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობას აძლევს [13].

ბოლო წლებში ბიოტექნოლოგიასა და ქსოვილების ინჟინერიაში მიღწეულმა პროგრესმა ორგანოთა ტრანსპლანტაციის სფეროში ახალი შესაძლებლობები გააჩინა. მეცნიერები აქტიურად მუშაობენ 3D ბიობეჭდვის განვითარებაზე, რაც მომავალში ექიმებს საშუალებას მისცემს, პაციენტის საკუთარი უჯრედებისგან შექმნან ხელოვნური ორგანოები. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს ორგანოთა ხელმისაწვდომობას, შეამცირებს იმუნური შეუთავსებლობის რისკს და შესაძლოა, ტრანსპლანტაციის ლოდინის დრო მნიშვნელოვნად შეამციროს [12]. ამასთან, დიდ ყურადღებას

იპყრობს ღეროვანი უჯრედების პოტენციალი. სამეცნიერო პროგრესი ცხადყოფს, რომ მომავალში დაზიანებული ორგანოებისა და ქსოვილების რეგენერაცია ღეროვანი უჯრედების მეშვეობით სრულიად რეალური გახდება. აღნიშნული მნიშვნელოვნად შეამცირებს დონორთა ორგანოებზე დამოკიდებულებას და ხელს შეუწყობს პაციენტების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ მკურნალობას.

ორგანოთა გადანერგვა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე რთული სამედიცინო პროცედურა საჭიროებს მკაცრ რეგულაციებსა და სამართლებრივ ჩარჩოს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიერ შემუშავებულმა „ადამიანის უჯრედების, ქსოვილებისა და ორგანოების ტრანსპლანტაციის პრინციპებმა“ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ეროვნული და საერთაშორისო დონაციის პოლიტიკის განვითარებაზე. WHO-ს ხელმძღვანელობით, არაერთმა ქვეყანამ მიიღო ტრანსპლანტაციის რეგულირების კომპლექსური პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს ეთიკურ სტანდარტებს, ნებაყოფლობითობასა და დონაციის არაკომერციულ ხასიათს [3].

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ აღნიშნული პროცესის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული არა მხოლოდ საკანონმდებლო ჩარჩოზე, არამედ პროფესიულ ტრენინგებზე, სამართლებრივ ცნობიერებასა და მოსახლეობის მუდმივ ინფორმირებულობაზე. მაგალითად, ესპანეთი წარმატებით ახორციელებს Opt-Out სისტემას, თუმცა, მისი შედეგიანობა განპირობებულია პროფესიული კოორდინატორების სისტემით, ოჯახის წევრებთან ეფექტური კომუნიკაციით და განათლებაზე ორიენტირებული კამპანიებით [11]. გერმანია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ინფორმირების ხარისხს და ინდივიდის თავისუფალ არჩევანს [6]. საფრანგეთში დანერგილია Opt-Out სისტემა და ქვეყანაში აქტიურად მიმდინარეობს განათლებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიები. საქართველოსთვის Opt-Out სისტემაზე გადასვლა მხოლოდ მაშინ იქნება მიზანშეწონილი, თუ უზრუნველყოფილი იქნება სამართლებრივი გამჭვირვალობა, საზოგადოების ნდობა, ინფორმირების მაღალი დონე და ინდივიდის უფლებების მაქსიმალური დაცვა.

საქართველოს პარლამენტმა 2023 წლის 1 ნოემბერს მიიღო ახალი კანონი, რომელმაც ჩაანაცვლა 2000 წელს მოქმედი „საქართველოს კანონი ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“. ახალი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოს ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესების მიმართულებით. მისი მიღება განაპირობებს ტრანსპლანტაციის პროცესის რეგულირების დროს სამართლებრივი ხარვეზებით წარმოშობილმა ბუნდოვანებამ და ორაზროვნებამ.

კვლევა საინტერესო იყო სტუდენტების სწორედ ახალი კანონმდებლობის მიმართ დამოკიდებულების შესწავლის კუთხით. აღსანიშნავია, რომ კონკრეტულად ამ კონტექსტში მსგავსი კვლევა არ ჩატარებულა. მისი მიზანი იყო ორგანოთა ტრანსპლანტაციის მიმართ სტუდენტების, როგორც სხვადასხვა დარგის მომავალი პროფესიონალებისა და აქტიური მოქალაქეების, ცოდნისა და დამოკიდებულებების შეფასება საქართველოში. კითხვარი სპეციალურად შემუშავდა აღნიშნული ნაშრომისთვის და მოიცავდა შემდეგ ბლოკებს: დემოგრაფიულ სექციას, ინფორმირებულობის სექციას, დამოკიდებულების სექციას.

მონაცემები შეგროვდა 2025 წლის აპრილისა და მაისის თვეების განმავლობაში. გამოკითხვა იყო ანონიმური და ნებაყოფლობითი. კვლევაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა 32 სტუდენტმა, რაც ძირითადად დაკავშირებული იყო დროის დეფიციტთან. კითხვარი სულ 89 სტუდენტმა შეავსო, თუმცა ანალიზისთვის გამოყენებული იქნა 65 სრულყოფილად შევსებული კითხვარი. რესპონდენტებს შორის 35 იყო მდებარეობითი სქესის სტუდენტი, ხოლო 30 - მამრობითი სქესის, ასაკობრივი ღიაპაზონით 18-26 წელი.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი, 80%, დონაციის ცნებას სწორად განსაზღვრავს. გამოკითხულთა შორის გადანერგვად ორგანოთა შესახებ ყველაზე მაღალი ცნობადობა დაფიქსირდა თირკმელთან დაკავშირებით - 96.9%. მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა გულის (93.8%) და ღვიძლის (78.5%) შემთხვევაში. საინტერესო იყო ასევე რესპონდენტთა მაღალი ინფორმირებულობა (53.8%) მნიშვნელოვანი სამედიცინო-ეთიკური საკითხის - ტვინის სიკვდილის შემდეგ ორგანოთა დონაციის შესაძლებლობის შესახებ.

სამართლებრივ ინფორმირებულობასთან დაკავშირებით კვლევა ცხადყოფს, რომ მონაწილეთა 64.6% არ ფლობს ინფორმაციას ცოცხალი დონაციის დროს სამართლებრივი მოთხოვნების შესახებ, როგორცაა სასამართლოს გადანყვეტილება და სპეციალური სამედიცინო კომისიის თანხმობის აუცილებლობა. აღსანიშნავია ასევე, რომ რესპონდენტთა მხოლოდ 26.2% იყო ინფორმირებული საქართველოში ორგანოს ფულის სანაცვლოდ გადაცემის, როგორც სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების შესახებ. საყურადღებო იყო აგრეთვე, რომ სტუდენტთა მხოლოდ 24.6% იცნობს “ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ” საქართველოს კანონს.

კვლევის მონაცემებმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა 70.8% ინფორმირებულია საქართველოში ორგანოთა ტრანსპლანტაციის ლეგალურობის შესახებ. რაც შეეხება სახელმწიფო რეგულაციების მნიშვნელობას, სტუდენტთა მხოლოდ 9.2% არ მიიჩნევს მას მნიშვნელოვან ბერკეტად. მნიშვნელოვანი იყო, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა, 87.7% მხარს უჭერს ორგანოთა ტრანსპლანტაციას. მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ სტუდენტები ზოგადად პოზიტიურად არიან განწყობილი აღნიშნული ინოვაციური სამედიცინო პრაქტიკის მიმართ და აღიარებენ მის აუცილებლობას, როგორც ინდივიდუალურ, ისე საზოგადოებრივ დონეზე.

ამგვარად, სტუდენტების უმრავლესობა ორგანოების ტრანსპლანტაციას დადებით აქტად აღიქვამს. მიღებული შედეგები აგრეთვე ცხადყოფს, რომ სტუდენტებში არსებობს მზაობა აქტიურად ჩაერთონ ტრანსპლანტაციის პროცესში. თუმცა, ამავდროულად, კვლევამ გამოავლინა მნიშვნელოვანი შეუსაბამობა ცოდნასა და ღირებულებით პოზიციას შორის. დადებითი განწყობის მიუხედავად, გამოკითხულთა დიდ ნაწილს არ აქვს ინფორმაცია ტრანსპლანტაციისა და დონაციის პროცესის პრაქტიკული პროცედურების შესახებ. შედეგები მიუთითებს, რომ მათი დამოკიდებულებები ხშირად ზოგად მორალურ კონცეფციებსა და იმპულსებს ეფუძნება, მაშინ როდესაც კონკრეტული სამართლებრივი ნორმები და პროცედურები მათთვის ნაკლებად ცნობილია. საჭიროა თემის ღრმა, სისტემატური განხილვა საგანმანათლებლო სივრცეში. ინტეგრირებული მიდგომით შეიძლება ტრანსპლანტაციის საკითხის პოპულარიზაციის და ცნობადობის ამაღლება სამედიცინო, სამართლებრივი, ეთიკური და სოციალური პერსპექტივიდან. რეკომენდებულია სახელმწიფო სათანადო უწყებებმა განახორციელონ კოორდინირებული საგანმანათლებლო კამპანიები, რომელთა მიზანი იქნება ინფორმირებულობის ამაღლება ფართო სტუდენტურ წრეებში.

ორგანოთა ტრანსპლანტაციის საკითხის განხილვა უნდა გასცდეს ტექნიკურ და სამართლებრივ ჩარჩოებს და მოიცავდეს ღირებულებით განზომილებებს, რომლებიც დაკავშირებულია სოლიდარობასთან და საზოგადოების წინაშე მორალურ პასუხისმგებლობასთან. მხოლოდ აღნიშნული გზით იქნება შესაძლებელი დონორობის კულტურის განვითარება, რომელიც დაფუძნებული იქნება იურიდიულად დასაბუთებულ, ინფორმირებულ და პასუხისმგებლიან არჩევანზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bezinover, D., Saner, F. (2019). Organ transplantation in the modern era. BMC Anesthesiology, 19(1), 54.

2. Black, C. K., Termanini, K. M., Aguirre, O., Hawksworth, J. S., Sosin, M. (2018). Solid organ transplantation in the 21st century. *Annals of Translational Medicine*, 6(20), 409.
3. Bogomazova, I. O. (2022). On the implementation of the WHO guiding principles on human cell, tissue and organ transplantation. *Medicine Pravo*.
4. Bramstedt, K. A. (2019). When donors become patients: The ethics of living donor evaluations. *Transplantation*, 103(3), 472–474.
5. Etheredge, H. R. (2021). International comparative organ donation policies: Lessons for South Africa. *Risk Management and Healthcare Policy*, 14, 2379–2389.
6. European Commission. (2021). *Report on Organ Donation and Transplantation — Policy and Practice in Member States*. Publications Office of the European Union.
7. Fasce, E. et al. (2023). *Health-Related Quality of Life in Heart Transplant Recipients: A Systematic Review*. [Journal Name]. doi:10.4067/s0034-98872023000700908
8. Lewis, A., Capron, A. M., Shapiro, M., Gould, S., Arnold, R. M., Batten, D., et al. (2020). The ethical and policy implications of organ donation after circulatory determination of death: A report from the Hastings Center. *Transplantation Reviews*, 34(1), 100512.
9. Loua, A., et al. (2020). A review of policies and programmes for human organ and tissue donations and transplantations, WHO African Region. *Bulletin of the World Health Organization*.
10. მამულაშვილი, ბ. (2016). ბიოეთიკა (გვ. 212–246). თბილისი, საქართველო.
11. Matesanz, R., Domínguez-Gil, B., Coll, E., de la Rosa, G., & Marazuela, R. (2019). *Factors influencing the development of organ donation and transplantation in European Union countries: Spanish experience*. *Transplant International*.
12. Murphy, S. V., & Atala, A. (2014). *3D bioprinting of tissues and organs*. *Nature Biotechnology*, 32(8), 773–785. <https://doi.org/10.1038/nbt.2958>
13. Pinter, J., et al. (2016). *Perspectives of elderly kidney transplant recipients: thematic synthesis of qualitative research*. *Nephrology Dialysis Transplantation*, 31(9), 1531–1539.
14. ქურციკიძე, მ. (2024). გვამურ დონაციასთან დაკავშირებული გამოწვევები. *სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი*, 1, 45–70.
15. საქართველოს კანონი ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ. (2023). საქართველოს პარლამენტი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5952836?publication=1>

მარიამ მოსიძე, ნინო ჩიხლაძე

სტუდენტების ცოდნისა და დამოკიდებულებების შეფასება
ორგანოთა ტრანსპლანტაციის მიმართ საქართველოში
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
მედიცინის ფაკულტეტი, თბილისი, საქართველო

რეზიუმე

ორგანოთა ტრანსპლანტაცია თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა, რომელიც სიცოცხლის გადარჩენის და გახანგრძლივების შესაძლებლობას აძლევს მძიმე დაავადებების მქონე პაციენტებს. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ აღნიშნული პროცესის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული არა მხოლოდ საკანონმდებლო ჩარჩოზე, არამედ პროფესიულ ტრენინგებზე, სამართლებრივ ცნობიერებასა და მოსახლეობის მუდმივ ინფორმირებულობაზე.

საქართველოს პარლამენტმა 2023 წლის 1 ნოემბერს მიიღო ახალი კანონი, რომელმაც ჩაანაცვლა 2000 წელს მოქმედი „საქართველოს კანონი ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“.

კვლევის მიზანი იყო ორგანოთა ტრანსპლანტაციის მიმართ სტუდენტების, როგორც აქტიური მოქალაქეების, ცოდნისა და დამოკიდებულებების შეფასება საქართველოში ახალი კანონმდებლობის მიღების შემდეგ, აღსანიშნავია, რომ კონკრეტულად ამ კონტექსტში მსგავსი კვლევა არ ჩატარებულა. სტუდენტების დამოკიდებულებები შეფასდა სპეციალურად შემუშავებული

ანონიმური კითხვარის გამოყენებით. შედეგები ცხადყოფს მნიშვნელოვან განსხვავებას ორგანოთა გადანერგვის მიმართ დადებით დამოკიდებულებასა (87.7%) და აღნიშნული საკითხისადმი ინფორმირებულობას შორის. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა 80%-მა სწორად განსაზღვრა დონაციის ცნება, 64.6% არ ფლობს ინფორმაციას ცოცხალი დონაციის დროს სამართლებრივი მოთხოვნების შესახებ, მხოლოდ 26.2%-ია გათვითცნობიერებული ორგანოს ფულის სანაცვლოდ გადაცემის, როგორც სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედების შესახებ. საინტერესოა ისიც, რომ რესპონდენტთა მხოლოდ 24.6%-სთვის იყო ცნობილი ტრანსპლანტაციის საკითხის მარეგულირებელი მოქმედი კანონმდებლობა. თუმცა, მონაწილეთა 90.8% აღიარებდა სახელმწიფო რეგულაციის მნიშვნელობას.

კვლევამ აჩვენა, რომ დადებითი დამოკიდებულების მიუხედავად, სტუდენტების დამოკიდებულება დაფუძნებულია მორალურ ცნებებზე, ვიდრე ცოდნაზე. ავტორები რეკომენდაციას უწევენ კოორდინირებულ სახელმწიფო საგანმანათლებლო კამპანიებს, რათა დონაციის კულტურა ინფორმირებული და პასუხისმგებელი გადწყვეტილებების საფუძველზე დადგინდეს.

ფ